თეგეტა მოტორსი

# TEGETA MOTORS

HOLDING COMPANY

It's Time to Choose Quality...

# დასუფთავების მომსახურების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის განაცხადი

| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 23 ოქტომბერი, 2024 |
|---|---|
| ტენდერის დასრულების თარიღი | 31 ოქტომბერი, 2024 |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

**1.1 კომპანიის შესახებ**

თეგეტა ჰოლდინგი მუდმივად განვითარებასა და ხარისხზე ორიენტირებული ჰოლდინგური კომპანიაა, რომელმაც 29 წლიანი წარმატების გზა განვლო, დღეს კი, ჰოლდინგურ კომპანიას წარმოადგენს, 30 შვილობილ კომპანიას აერთიანებს და ბაზრის ლიდერია ავტოიდნუსტრიაში არამარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში. ამ ხნის განმავლობაში, არაერთხელ მიიღო „ოქროს ბრენდის“ სტატუსი და „წლის კომპანიის“ აღიარება.

**1.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება**

თეგეტა ჰოლდინგი აცხადებს ელექტრონულ ტენდერს ოთხ ლოტად დასუფთავების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

**განსაკუთრებული მოთხოვნები:** წინამდებარე ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებულია მომსახურება გასწიოს საორიენტაციოდ 2024 წლის დეკემბრის დასაწყისში.

## 2. საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

2.1 ინფორმაცია მოცემულია დანართი N1,დანართი N2, დანართი N3, დანართი N4-ისა და დანართი N5-ის სახით;

**შენიშვნა 1:** რემონტის შემდგომი დასუფთვების მომსახურებსი გაწევის პროცესში შესაძლოა პარალელურად განხორციელდეს მცირედი სარემონტო სამუშოები ისეთი ხარვეზების აღმოსაფრხველად, რომელიც არ იყო თვალსაჩინო დასუფთვებამდე.
**შენიშვნა 2:** იმ შემთხვევაში, თუ კომპანიასთან თეგეტა მოტორსს არ აქვს სამუშაო გამოცდილება, რეგულარული დასუფთვების მომსახურება გაფორმდება 3 თვის ვადით შემდგომში ვადის გაგრძელების პერსპექტივით;
**შენიშვნა 3:** შემსყიდველი უფლებას იტოვებს ტენდერის მსვლელობის პროცესში, საჭიროებისამებრ, შეცვალოს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები რის შესახებ ეცნობება ტენდერში მონაწილე კომპანიებს.

## 3. განფასების მოთხოვნის პირობები

3.1 შემოთავაზება წარმოსადგენია დანართი N1-ის მიხედვით, როგორც უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭდით დამოწმებული, დასკანერებული ვერსია, ისე ექსელის ფაილი;

## 4. საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ფორმა და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო, გარდაბანი, სოფელი მარტყოფი.

## 5. ანგარიშსწორების პირობა

5.1 რემონტის შემდგომი დასუფთავების მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება კონსიგნაციის პირობით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

5.2 რეგულარული დასუფთვების მომსახურების ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ყოველთვიური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დამკვეთისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა.

## 6. გამარჯვებულის გამოვლენა

ტენდერით დაინტერესებულმა კომპანიებმა წინადადებები უნდა წარადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge –ს საშუალებით.

**შენიშვნა:** შემსყიდველი არ არის ვალდებული მონაწილე კომპანიას მისცეს სიტყვიერი ან წერილობით ახსნა-განმარტება ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.

## 7. პრეტენდენტის მიერ tenders.ge–ზე ასატვირთი დოკუმენტაცია

1. კომერციული შეთავაზება ხელმოწერილი, სკანირებული ვერსია;
2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც გაცემული უნდა იყოს წინამდებარე ელექტრონული ტენდერის გამოცხადების პერიოდამდე არაუმეტეს 3 თვისა.
3. კომპანიის გამოცდილება/პროფაილი;
4. კომპანიის კორპორატიული კლიენტების ჩამონათვალი;
5. 
6. სარეკომენდაციო წერილები.

## 8. დამატებითი ინფორმაცია

8.1 წინადადების წარდგენის მომენტისთვის პრეტენდენტი არ უნდა იყოს:
- გაკოტრების პროცესში;
- ლიკვიდაციის პროცესში;
- საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.

8.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების მიღების თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს პრეტენდენტებისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ასევე მოიძიოს ინფორმაცია პრეტენდენტი კომპანიის ან მისი საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ პრეტენდენტის მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან გაყალბებულია, პრეტენდენტი იქნება დისკვალიფიცირებული.

8.4 შემსყიდველი არ მიიღებს არავითარ ზეპირ შეკითხვას დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. გამონაკლისის სახით მიიღება შეკითხვები ტელეფონით.

8.5 შესაძლებელია განხორციელდეს პრეტენდენტებისაგან სხვა დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა და/ან წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება ტენდერის მსვლელობის პერიოდში;

**სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: 2024 წლის 31 ოქტომბერი, 18:00 საათი.**

ტენდერის შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, გამოიყენოთ www.tenders.ge -ზე განთავსებული კითხვა/პასუხის ველი (სატენდერო განაცხადის ქვემოთ), რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და წარმოადგენს ღია/საჯარო ინფორმაციას, ან მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ProcurementTenders@tegetamotors.ge;